

# საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №13  
2013 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

## საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 21 მაისის ბრძანება №91 - ვებგვერდი, 22.05.2014 წ.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

### მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი თანდართული სახით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 21 მაისის ბრძანება №91 - ვებგვერდი, 22.05.2014 წ.

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 17 იანვრის №9 ბრძანება.

### მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

სოზარ სუბარი

## საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 21 მაისის ბრძანება №91 - ვებგვერდი, 22.05.2014 წ.

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი ვრცელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აპარატის (შემდგომში - სამინისტროს აპარატი), სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა (შემდგომში - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (შემდგომში - საჯარო სამართლის იურიდიული პირები) მოხელეებსა და თანამდებობის კონკურსის წესით დაკავების მსურველ კანდიდატებზე, განსაზღვრავს კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნისა და საქმიანობის წესს.

2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს ამ წესით დადგენილი პროცედურების ეფექტური და სრულყოფილი შესრულება, აწარმოოს მონიტორინგი მათ შესრულებაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 21 მაისის ბრძანება №91 - ვებგვერდი, 22.05.2014 წ.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაწესებულება - სამინისტროს აპარატი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი);

ბ) დაწესებულების ხელმძღვანელი - სამინისტროს აპარატის შემთხვევაში - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და



პრობაციის მინისტრი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის - სააგენტოს უფროსი;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფი - სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფები, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის ქვედანაყოფები, იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები და ტერიტორიული ორგანოები.

*საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 24 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 27.05.2013 წ.*

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 21 მაისის ბრძანება №91 - ვებგვერდი, 22.05.2014 წ.*

### **მუხლი 3. კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების პრინციპები**

კონკურსი და ატესტაცია ტარდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობის და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით.

### **მუხლი 4. კონკურსისა და ატესტაციის მიზანი**

კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების მიზანია:

- ა) ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა;
- ბ) მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებულ (ან დასაკავებელი) თანამდებობის მოთხოვნებთან;
- გ) მოხელის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;
- დ) საკლასო ჩინისა და სპეციალური წოდების მინიჭებასა ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;
- ე) მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;
- ვ) მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;
- ზ) მოხელის პროფესიული ზრდის სტიმულირება;
- თ) მოხელეთა კარიერის დაგეგმვა და მართვა.

## **თავი II**

### **საკონკურსო-საატესტაციო კომისია**

#### **მუხლი 5. კომისიის შექმნა და ფუნქციები**

1. კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ დაწესებულებაში დამოუკიდებლად იქმნება კომისია.
2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ფუნქციებია:
  - ა) პირის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და პირადი შესაძლებლობების შეფასების პროცედურის წარმართვა;
  - ბ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის კონკურსანტის, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა.

#### **მუხლი 6. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
2. კომისიის თავმჯდომარეს დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.
3. კომისიის შემადგენლობასა და რაოდენობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
4. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს მისი არყოფნის შემთხვევაში.
5. კომისიის მდივანს კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც კომისიის თავმჯდომარის დავალებით აწარმოებს სხდომის ოქმებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას.
6. კომისიაში შესაძლებელია შედიოდეს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები. სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კომისიაში ასევე, უნდა შედიოდეს ერთი წარმომადგენელი სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან.
7. მოხელე არ შეიძლება იყოს იმ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი კონკურსი/ატესტაცია.

#### **მუხლი 7. კომისიის თავმჯდომარე**



1. კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.
2. კომისიის თავმჯდომარე:
  - ა) განსაზღვრავს კომისიის წევრთა შემადგენლობას და ნიშნავს კომისიის წევრებს;
  - ბ) წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;
  - გ) კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს;
  - დ) კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის მდივანს;
  - ე) უფლებამოსილია შექმნას კომისიის სამდივნო;
  - ვ) ქმნის კომისიის სპეციალიზებულ შემადგენლობას კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი საფუძვლებით;
  - ზ) უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი;
  - თ) ახორციელებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 8. კომისიის სამდივნო**

1. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია შექმნას კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.
2. კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს სამდივნოს უფროსს და განსაზღვრავს სამდივნოს წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას.
3. სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის გამართვისთვის საჭირო ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის:
  - ა) კანდიდატის განცხადებებისა და დოკუმენტების მიღება, შენახვა და მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება;
  - ბ) (ამოღებულია - 24.05.2013 წ. №118);
  - გ) დოკუმენტების კომისიისათვის წარდგენა;
  - დ) კანდიდატთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება.
4. კონკურსის დამთავრებისა და შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს საქმიანობას.  
*საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 24 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 27.05.2013 წ.*

## **მუხლი 9. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა**

1. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია შექმნას კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.
2. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობით დაკომპლექტების შემთხვევაში სპეციალიზებული კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

## **მუხლი 10. გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.
5. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.

## **მუხლი 11. საპრეტენზიო კომისია**

1. კონკურსისა და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.
2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.
3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის, მოწვეულები). კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიაში.
4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.



5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები.

8. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის/ატესტაციის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან ან საატესტაციო ფურცლის გაცნობიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

*საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 25 თებერვლის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 25.02.2013 წ.*

### თავი III კონკურსი

#### მუხლი 12. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსს საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის საშუალებით.
2. შეტყობინება კონკურსის შესახებ შეიძლება გამოქვეყნდეს აგრეთვე დაწესებულების ვებგვერდზე, პრესითა და ტელევიზიით.
3. შეტყობინება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს:
  - ა) დაწესებულების და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელებებს და რაოდენობას;
  - ბ) კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები);
  - გ) შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებულ მოვალეობებს;
  - დ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობას;
  - ე) კომისიის მისამართს და ელექტრონული ფოსტის მისამართს;
  - ვ) აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას.
4. კონკურსი იმ თანამდებობაზე, რომლის სამსახურებრივი ფუნქციის შესრულება დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან, ცხადდება და ტარდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
5. კონკურსის გამოცხადების ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებს შესაბამისი დაწესებულება.

#### მუხლი 13. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატს განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.
2. კანდიდატებს განცხადების წარსადგენად ეძლევათ არანაკლებ 10 - დღიანი ვადა, კონკურსის გამოცხადების დღიდან.

#### მუხლი 14. მოთხოვნები, რომელიც წაყენება კანდიდატს

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით წაყენებულ მოთხოვნებს.
2. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით.
3. საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა საერთო წესის საფუძველზე, მის



მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 24 მაისის ბრძანება №118 - ვებგვერდი, 27.05.2013 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №209 - ვებგვერდი, 13.08.2013 წ.

## მუხლი 15. კონკურსზე გამოცხადების წესი

კანდიდატი კონკურსზე დაიშვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. დაგვიანების შემთხვევაში, მხოლოდ კომისიის თანხმობით.

### თავი IV კონკურსის ჩატარების პროცედურა

#### მუხლი 16. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- ა) წერიტი დავალება;
- ბ) სხვადასხვა სახის ტესტირება;
- გ) გასაუბრება.

2. კონკურსის პროგრამას, ფორმებს, პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე.

4. დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, კონკურსის ერთ-ერთ ეტაპად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანდიდატის თეორიული სწავლება სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობების სპეციფიკის შესაბამისი სასწავლო პროგრამით.

5. თეორიული სწავლების დასრულების შემდეგ კანდიდატს უტარდება ტესტირება სასწავლო პროგრამის თემატიკის შესაბამისად.

#### მუხლი 17. კანდიდატურების განხილვა და კონკურსის შედეგები

1. კომისია საკონკურსო ეტაპის/ეტაპების დასრულების შემდეგ კანდიდატების დაუსწრებლად განიხილავს დასაკავებელ თანამდებობასთან თითოეული კანდიდატის შესაბამისობის საკითხს.

2. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

3. კომისიის მიერ კენჭისყრისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

4. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს, ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

5. კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო თანამდებობაზე დამნიშნულ პირს – კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. კანდიდატის შედეგები კონკურსის ეტაპების მიხედვით ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე კონკურსანტის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით.

#### მუხლი 18. ჩაშლილი კონკურსი

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, ასევე თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.

### თავი V მოხელის ატესტაცია

#### მუხლი 19. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი

1. ატესტაციას ექვემდებარება:

- ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი);
- ბ) (ამოღებულია - 21.06.2013 წ, №145);
- გ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

2. მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის ბოლო წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარება მომავალ წელს ატესტაციას.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 21 ივნისის ბრძანება №145 - ვებგვერდი, 21.06.2013 წ.

#### მუხლი 20. ატესტაციის დრო

1. ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.



2. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ატესტაციის ჩატარების გრაფიკის, პროცედურების, ფორმებისა და პირობების შესახებ უნდა ეცნობოს ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

### **მუხლი 21. ატესტაციის ჩატარების წესი**

1. ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი წარადგენს მოხელის დახასიათებას (დანართი №1) დაწესებულების სამსახურში, რომელიც უზრუნველყოფს საკადრო საკითხებს.
2. მოხელეს უფლება აქვს ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს მასზე შედგენილ დახასიათებას.
3. ატესტაციის ჩატარებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას ახორციელებს დაწესებულების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საკადრო საკითხებს.
4. ატესტაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
  - ა) სხვადასხვა სახის ტესტირება;
  - ბ) წერიტი დავალება;
  - გ) გასაუბრება.
5. ტესტირების თემატიკას მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
6. მოხელესთან გასაუბრებას შეიძლება დაესწროს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, სადაც დასაქმებულია პირი.
7. გასაუბრების გზით ატესტაციის ჩატარებისას მოხელის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კომისია ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს მის ცოდნას საკვალიფიკაციო თემატიკის შესაბამისად და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.
8. ატესტაციაზე მოხელის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკითხი გადაიღება შემდგომი სხდომისათვის. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხელე კომისიის გადაწყვეტილებით იღებს ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეფასებას.

### **მუხლი 22. მოხელის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება**

1. ატესტაციისას გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-10 მუხლით.
2. ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:
  - ა) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დაწინაურებას;
  - ბ) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
  - გ) ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);
  - დ) მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
3. საჭიროების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას და დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებას მოხელისათვის სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭების/ჩამორთმევის შესახებ.

### **მუხლი 23. ატესტაციის შედეგები**

1. კომისია ვალდებულია თითოეული მოხელის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
2. ატესტაციის შედეგების შესახებ მოხელეს ეცნობება კენჭისყრის დამთავრების შემდეგ.
3. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ პირად და დახასიათებასთან ერთად დაერთვის მოხელის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები (დანართი №2).
4. მოხელე საატესტაციო ფურცელს ეცნობა შევსებიდან ორ დღეში და ხელს აწერს მას.
5. ატესტაციის შედეგების შესახებ კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს მოახსენებს ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.
6. დაწესებულების ხელმძღვანელი კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭების/ჩამორთმევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების, მოხელის დაწინაურების ან დაქვეითების შესახებ.
7. თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მოხელე არ შეესაბამება ან ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

*საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 25 თებერვლის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 25.02.2013 წ.*

### **მუხლი 24. კონკურსისა და ატესტაციის შედეგების გასაჩივრება**



კონკურსისა და ატესტაციის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

